№291 2015 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „იეჰოვას მოწმეების კავშირი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 2015 წლის 21 აპრილს გამოტანილი განჩინების აღსრულების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 6 000 (ექვსი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

ირაკლი ღარიბაშვილი